ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5914493

ნომერი: AR1892306

თარიღი : 11.04.2022

გაცემის თარიღი : 27.04.2022

გაცნობის თარიღი : 27.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, გრიგოლ ორბელიანის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე სიყმაშვილი პ/ნ 25001034820
- ლაგოდეხი ს. შრომა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი უნდა შეიცვალოს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.

2. მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნის ტექსტში დააზუსტეთ საწყობის ფუნქციური დანიშნულება და აღნიშნული ასევე მიუთითოთ შესაბამის გრაფაში (ფუნქციური დანიშნულება). ასევე მიუთითეთ ინფორმაცია არსებულ შენობებთან დაკავშირებით.

3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი :
წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებული, არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა.

4. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები დაგაღებული შორი და ახლო ხედებიდან.

5. ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ. -> . დასკვნის ელექტრონული ფაილი.:
წარმოადგინეთ ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ, რომლის წარმოდგენის შემდგომ მოხდება განაცხადის გადაგზავნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

6. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა. -> . სქემის ელექტრონული ფაილი.:
წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა, შენობიდან არსებულ ხე–ნარგავებამდე მიბმის მანძილების მითითებით. განთავსების სქემაზე ასევე უნდა დაიტანოთ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით.

7. საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს შპს ,,სილქნეტი“-ს საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.00.393). აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

8. წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები და აღნიშნული სამსახურების მიერ გაცემული თანხმობა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მოწყობასთან დაკავშირებით.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.